“დინამო” თბილისი - “სპარტაკი” მოსკოვი

24 აგვისტოს ლ. პ. ბერიას სახელობის “დინამოს” სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ ჩვენი ქვეყნის უძლიერესი გუნდები - მოსკოვის “სპარტაკი” და თბილისის “დინამო”.

პირველი წრის შეხვედრა აღნიშნულ გუნდებს შორის დამთავრდა “სპარტაკის” გამარჯვებით ანგარიშით 1:0. საინტერესო იყო, შესძლებდნენ თუ არა თბილისელები რევანშის აღებას?

მატჩის დასაწყისი აღინიშნა ერთგვარი მოულოდნელობით. თამაშის პირველსავე წამებში თბილისელებმა მარჯვენა ფრთაზე გაიტაცეს ბურთი. გ. ჯეჯელავამ იგი მოხერხებულად ჩააწოდა “სპარტაკის” საჯარიმო მოედნის ცენტრში, რაც კარგად გამოიყენა ვ. ბერეჟნოიმ და კუთხური დარტყმით გახსნა ანგარიში. თბილისელთა ასეთმა სწრაფმა წარმატებამ როდი დააბნია მოსკოველები. ისინი მედგრად ეკვეთნენ დინამოელთა კარს. მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში ინიციატივა მოსკოველთა ხელში იყო. დინამოელები სუსტად, უსისტემოდ, შეუთანხმებლად თამაშობდნენ და ბურთი უმთავრესად მათ კარებთან ტრიალებდა. მე-10 წუთზე “დინამოს” საჯარიმო მოედანზე შეიქმნა არეულობა. სპარტაკელმა კონოვმა ძლიერად დაარტყა კარის მარცხენა კუთხისაკენ. ბურთი მოხვდა ძელს, უკან დაბრუნდა, მაგრამ მიუსწრო ა. სოკოლოვმა და შეაგორა “დინამოს” კარში. მოსკოველებს შემდეგაც ჰქონდათ ბურთის გატანის რამდენიმე შესაძლებლობა, მაგრამ ვერ გამოიყენეს. თამაშის პირველი ნახევარი დამთავრდა ფრედ 1:1.

მეორე ტაიმში თბილისელები შედარებით უკეთესად თამაშობდნენ. თამაშის სწრაფ ტემპს სტუმრებმა დიდხანს ვერ გაუძლეს, მოიქანცნენ, და “დინამოელთა” უპირატესობა აშკარა გახდა. იმის შემდეგაც კი, როცა თბილისელებმა “სპარტაკის” კარში მეორე ბურთი გაიტანეს (გ. ჯეჯელავა), სტუმრები არც კი ცდილან კონტრიერიშზე გადასვლას. დაუღალავად “მუშაობდა” მხოლოდ მეკარე ლეონტიევი, რომელმაც სხარტი და გაბედული ნახტომებით იხსნა თავისი კარი რამდენიმე ბურთისაგან.

მატჩი დამთავრდა თბილისის “დინამოს” გამარჯვებით ანგარიშით 2:1.

ა. გოგოლაშვილი.
“კომუნისტი”, 26 აგვისტო, 1947 წ.